№ 188 12 ენკენისთვე, ოთხშაბათი 1866—1879 12 ენკენისთვე, ოთხშაბათი № 188

დროება

ᲣᲛᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩ ზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა— 8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივის ცისფერთი— 5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ᲮᲣᲗᲘ მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 სექტემბერს. გაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია აეღანიდამ მიღებული ტელეგრამა, ღენ. რობერტსს ემირისაგან ნამდვილი ცნობა მოუვიდაო, რომ იმის ჯარები აჯანყებულან; ბერატში და ქაბულში სულ თორმეტი პოლკი ჯარი არისო და რამდენიმე ზარბაზანი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 სექტემბერს. სიმლიდამ მოვიდა ამბავი, რომ ქოგისტანში არეულობა მომხდარა. ქაბულიდამ გაქცეული სალდათები ამბობენ, რომ იაკუბხანმაც მიიღო მონაწილეობა უკანასკნელს არეულობაშიო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 სექტემბერს. გაზეთს „სტანდარში“ იწერებიან, რომ ბერატში საშინელი არეულობა მომხდარა; სალდათებს სამოქალაქო უწყებაში მოსამსახურე პირები და აგრეთვე თავიანთი აფიცრები დაუხოცნიათ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 6 სექტემბერს. აღმოჩნდა; რომ ის კაცი, რომელსაც ხონთქრის სასახლეში ძალით შესვლა უნდოდა და ამ დროს ორი ყარაული და ერთი აფიცერი დასჭრა, ერთი რუმინელი ყოფილა, რომელიც გამოჩენილ სახლობას ეკუთვნის და მთელს სტამბოლში ცნობილია.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 7 სექტემბერს. რუსის ელჩი თ. ლობანოვ-როსტოვსკოი გუშინწინ ლივადიაში წავიდა.

ნამდვილად ამბობენ, რომ ის კაცი, რომელმაც ხონთქრის მოკვლა განიზრახა, რუმინელი კი არა, ბერძენი ყოფილა რუმინიის სამსახურში, სახელად პოსტანტინე ქარანალო; ამბობენ, ის ჭკუ-შეშლილიაო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 სექტემბერს. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ინგლისის ინდოეთის ვიცე-კოროლმა ლორდ ლიტტონმა აღანის ემირს მისწერა წიგნი, რომლითაც აცნობა, რომ იმის დასახსნელად და აჯანყებულების დასასჯელად დიდძალი ჯარი იგზავნება და ამ ჯარს თქვენც დაეხმარეთ გზაშიო. ემირმა შემოთვალა, რომ ის ახლა უკეთესს მდგომარეობაშია და ბედნიერად სთვლის თავის თავს, რომ ინგლისელებმა არ შესცვალეს თავის აზრი იმის შესახებ. ემირი აცხადებს დიდ მწუხარებას იმ უბედური შემთხვევის გამო, რომელიც ინგლისის ელჩებს მოუვიდათ და ამბობს, რომ ღვთის ნების წინააღმდეგ ბრძოლა არ შემეძლოვო; იმედი მაქვსო, რომ ღირსეულად დავსჯი იმ აჯანყებულებს და ამით დავამტკიცებ ჩემ ერთგულებასაო. ემირის სიტყვით, ის და იმის ოჯახი მხოლოდ რამდენიმე კაცის ერთგულებიათ და აჯანყებულების მოტყუებით გადარჩა. რამდენიმე წარჩინებული პირები მიემხრნენ აჯანყებულებს, მაგრამ იმედი მაქვსო, რომ იმათაც მალე დავიმორჩილებო.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 8 სექტემბერს. რუმელიის მილიცია არ ემადლიერება თავის ახალ უფროსს შტრეკკერს; აფიცრები თხოულობენ, რომ მილიციის უფროსად დანიშნული იქმნეს რუსის პოლკოვნიკი ბოლგარიელი ქესიაკოვი.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ, 8 სექტემბერს. ხარკოვის მემამულემ და ქარხნების პატრონმა ხარიტონენკომ 100,000 მანეთი შესწირა აქაური უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტებისათვის საზოგადო სახლის ასაშენებლად.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲜᲐ, 8 სექტემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	—	94—87
მეორე — — —	—	93—75
მესამესი — —	—	93—75
მეოთხესი — —	—	93—50
აღმოსავლეთის პირ.	—	91—87
აღმოსავლეთის მეორე	—	91—75
აღმოსავლეთის, მესამე	—	92——
ოქრო, ½ იმპერიალი	—	7—85
თფილ. თავად-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი	—	„— „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები		

		მან.	კაპ.
პირველი სესხის—	—	233—	„
მეორე სესხის —	—	229—	„

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25—06	პენსი	
ამბურღი — —	126—75	ცენტი	
პარიჟი — — —	265—75	სანტიმი	
ვენა — — —	214—75	ჰფენიგი	
კავკასიის კერასინი —	— —		

საქართველო

ოსმალეთიში გადასახლებული ქართველები

(ტრაპიზონიდამ მოსულებისაგან)

როგორც გვესმის, ახალ-შემოერთებულ საქართველოს ნაწილებიდამ ოსმალეთში გადასახლებულები ტრაპიზონის ახლო დაბინავებულან შემდეგ ადგილებში;

ტრაპიზონისა და ხოფას შუა: 1) ოსურას, (ტრაპიზონიდამ აქეთ პარახოდით ორი საათის სავალზე), 2) სურმენეს რვა საათის სავალზე პარახოდით, 3) ოფს, თექვსმეტი საათის სავალზე ტრაპიპონიდამ ხმელეთით, 4) ირიზეს 20 საათის სავალზე ხმელეთით, 5) ათინას 26 საათზე ხმელეთით, 6) არჰავეს და 7) ხოფას.

სულ, როგორც ამბობენ, ამ შვიდ ადგილას და იმის ახლო-მახლოს არიან დასახლებულები 500 მოსახლე. შემეტესნი ქობულეთელები არიან. ამათგან ნამეტანათ სახლობენ სურმენს, ირიზეს და ათინას. დანარჩენ ადგილებში ნაკლებათ. ეს სულ, რაც მოვიხსენეთ, ბათუმსა და ხოფას სახლობენ და რიცხვით (კომლზე რომ ხუთი სული ვიანგარიშოთ) 2,500 სული მეტია.

ტრაპიზონს იქით უნიმდის დასახლებულან შემდეგ ადგილებში და მის ახლო-მახლოს: 1) თირიბოლის (3 საათის სავალი პარახოდით) 800

სული; 2) პირესინს (რვა საათი ტრაპიზონს იქით) 100 მოსახლე ანუ 500 სული; 3) ო რ დ უ ს ს (ათი საათი ტრაპიზონს იქით) და 4) უ ნ ი ე ს (13 საათის სავალზე). ორდუს და უნიეს ყველაზე მომეტებულათ დასახლებულან, მეტადრე უნიეს 4,000 სული.

ამ ოთხსავ ადგილს აჭარლები და მაჭახლელები არიან. მხოლოდ უნიეს არიან ცოტა ქობულეთლებიც.

ამ გვარად ტრაპიზონს იქით სულ 5,300 სული იქნება. სამწუხაროდ უფრო ცუდი დღე ადგებათ მომატებულ მოსახლეებს, რომელნიც უნიეს დაეხიზნენ. უნიედამ ორი დღის სავალზე უნდა გადაასახლონ ნ ი ქ ს ა რ ს.

სულ გადასახლებულების რიცხვი თუ დერვიშ-ფაშისაგან ძალათ გაყვანილებისა და თუ მერმეთ ნება-ყოფლობით 7,800 არის, რაც ტრაპიზონს ახლო-მახლოა.

ამას გარდა ჭანეთში და ტრაპიზონის გარშემო გაფანტულები არიან. უსახლობისა, ნაკლებულობისა და ჰაერის დაცდისაგან დიდს სილარიბეში და ავათმყოფობაში არიან. ბევრს ყმაწვილები და დედა-კაცობა დახოცვიათ. საზოგადოთ ძალიან მწუხარებაში არიანო და ამბობენ ნანობენ გადასახლებასაო.

ოსმალოს მმართებლობას ვერაფერი შემწეობა ვერ მიუცია და ტრაპიზონის ფაშას საყვედური მისვლია. ამბობენ, ზოგს უკან დაბრუნება უნდაო, მაგრამ გასვლისას ბევრს, თავისის თუ სხვის შეცდომით, ისეთი ბილეთი აულია, რომ დაუბრუნებელად გავდივართო. ამ გარემოების გამოდ რუსის მთავრობისა ეშინიათ და დარჩენილან საცოდავად.

როგორც ვგონებთ, ბერლინის მორიგების ძალით, კიდევ ორ წლამდინ უნდა აქვთ, რომ უკან დაბრუნდნენ, თუნდაც რომ დაუბრუნებელი ბილეთიცა ჰქონდეთ აღებული. როგორც გვესმის, ჩვენში კიდეც გამოსულან და მთავრობას ნება მიუცია ძველ ბინებში დასახლებისა. სასურველია, რომ ჩვენმა მმართებლობამ განკარგულება მოახდინოს ხალხის საცხობლათ.

თავის ძველ ბინაზედ ხალხის დაბრუნებას კარგი ზედმოქმედება ექნება: ხალხი დამშვიდდება, დაწყნარდება და ოსმალოს ჩინოვნიკების ტყუებას დაინახავს, მიწა-წყალს მოეკიდება და მშვიდობიანად ცხოვრებას და მამულის შემუშავებას შეუდგება.

დღიური

*** ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ მომავალ ღვინობისთვის 21-სა და 22-ს თფილისში იქნება ცხენების დოღი (მარული). საჩუქარი ანუ ჯილდო საუკეთესო ცხენებისათვის იქნება სულ ხუთი: 1) სამი წლის ჰაკი ცხენისათვის —400 მან., 2) სამი წლის ულაყი ცხენისათვის—400 მან., 3) საზოგადო მარულის—400 მან., 4) ხალხთა-შორის მარულის—500 მან. და 5) სახალხო მარულის—75 მან.

ვისაც დოღში მონაწილეობის მიღება ჰსურს, 18-სა და 19 უნდა ჩასწეროს თავის ცხენი.

უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა შეიძლება ცხენის ზავოდის კანცელარიაში, სოლოლაკში, სერგიევის ქუჩაზე, ჩიტახოვის სახლებში.

*** თფილისში სდგება სომხების საზოგადოება, რომლის მიზანი არის, რომ სომხურ ენაზედ გადათარგმნოს, გამოსცეს და გაავრცელოს საყმაწვილო წიგნები.

ამ საგნის თაობაზე მოსალაპარაკებლად გასულ კვირას ასამდინ სომეხი შეკრებილან უფ. არწრუნის თეატრის ზალაში, წაუკითხავთ წინათვე შედგენილი წესდების პროექტი საზოგადოებისა და, მოკლე ბაასის შემდეგ, კიდეც დაუმტკიცებიათ ეს პროექტი. ამავე კრებაში ამოურჩევიათ სამი პირი: უ.უ. დოქტორი ბაბაევი, ნ. ამატუნი და ხატისოვი, რომელთათვისაც მიუნდვიათ იშუამდგომლონ მთავრობასთან ხსენებული საზოგადოების პროექტის დამტკიცებისათვის.

*** ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში უფ. გ. დიდებულიძისაგან ქართულად გადმოთარგმნილი „დ ა წ ყ ე ბ ი თ ი ს წ ა ვ ლ ა მ მ ა რ თ ლ-მ ა დ ი დ ე ბ ლ ო ბ ი თ ი ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ბ რ ი ვ ი ს ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს ა“—სოკოლოვისა.

ეს წიგნი, რომელიც შეიცავს ძველსა და ახალ აღთქმას, რუსეთის სასწავლებლებში სახელმძღვანელო არის მიღებული და, უეჭველია, ჩვენი შკოლებისთვისაც სასარგებლო წიგნია.

თვითონ თარგმანი, ზოგიერთ ადგილებს გარდა, ურიგო არ არის, ადვილის, გასაგონის ენით არის. ტექსტში ბევრი სურათებია მოყვანილი, რომელნიც, თუმცა ხეირიანები არ არიან, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამგვარს წიგნში გამოსადეგნი არიან. მაგრამ ყველაზე უფრო მოსაწონი ამ წიგნისა არის მშვენიერი, ადვილად გასარკვევი ასოები (შრიფტი). ჩვენის აზრით, ყველა საშკოლო და განსაკუთრებით სახალხო წიგნები რომ მაგისთანა მსხვილი შრიფტით დაიბეჭდებოდნენ, ძალიან კარგი იქნება. მართალია, ცოტა არ იყოს ფასს მოუმატებს, მაგრამ მაგიერად ახალ მოსწავლისა და ხალხისათვის ამისთანა სტამბის წაკითხვა ძალიან ადვილი და წამხალისებელია.

ფასი წიგნისა—ათი შაური შკოლებისათვის და სამი აბაზი სხვებისათვის—არ არის ძვირი.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ იქ მისულა ახალი დირექტორი ქუთაისის სავაჟო გიმნაზიისა უფ. სტოიანოვი და ამის ჩამოსვლა ახლავე სასიკეთოდ დაეტყო ჩვენს დაჩაგრულს გიმნაზიასაო..

*** ქუთაისიდამვე იწერებიან „თფ. მოამბეში,“ რომ ამ სექტემბრის 4-ს ვილაც სვანეთის თავადს [illegible] ბოდკის ერთს დუქანში ქეიფის დროს ჩხუბი მოსვლია მედუქნესთან, სამჯერ დაუკრავს იმისთვის თავში ხანჯალი და გამოქცეულა. ხალხს იმწამსვე, რასაკვირველია, ყვირილი შეუქნია: „დაიჭირეთ! დაიჭირეთ! კაცის მკვლელიაო!“ ქალაქისაკენ მომავალს თ. ზორდაფხაძეს ვილაც იმერელი დახვედრია გზაზე და დაჭერა მოუნდომებია; მაგრამ ამისთვისაც ჩაუკრავს გვერდში ხანჯალი და დაუჭრია. ამ დროს მოხვევია იმას კეტებით ხალხი და დაუციათ. უეცრად გამოჩენილა ზორდაფხაძის კაცი, რომელიც მივარდნილა თავის ბატონის მისაშველებლად; მაგრამ ვილაცას თავში კეტი დაუკრავს ამისთვის და გულ-შემოყრილი დავარდნილა. ხალხს დაუჭერია ამნაირად ზარდაფხაძე და პოლიციაში წაუყვანიათ. დაჭრილები კი ჰოსპიტალში არიანო.

ამ საქმის თაობაზე, რასაკვირველია, გამოძიება არის დანიშნული..

ყურადღების ღირსია, რომ ამ სამწუხარო შემთხვევის დროს პოლიცია თურმე სულ არსად არა ჩნდა; მხოლოთ ჩხუბი რომ გათავებულა, მერე გამოჩენილა ერთი დესიატნიკი..

*** ფოთიდამ გვატყობინებენ, რომ ამას წინათ ერთს იქაურ ახალგაზდა კაცს რატიანს მოუტაცნია ვილაც აბაკელიას ქალი და რკინის გზით წაუყვანია. იმ წამსვე ქალის დედ-მამამ იჩივლა თურმე საცა რიგია რატიანზე, რომ ქალი მოგვტაცაო.

სასამართლოს, თუ პოლიციას მოუნახავს ეს გვრიტები, დაუვლიათ ქალისათვის ხელი, მოუყვანიათ ფოთში და ახლა, ს ა მ ი ს თ ვ ი ს შ ე მ დ ე გ, ჩაუბარებიათ მშობლებისათვის. არ დაგავიწყდეთ—სამის თვის შემდეგ..

ყველა ეს კარგია, მაგრამ, თუ ქალის ნებაც არ იყო, ის რატიანი როგორ მოიტაცებდა ისე ქალს? ამას გარდა, სამის თვის შემდეგ რაღა საჭირო იყო ქალის დაბრუნება ისევ დედ-მამის ოჯახში?!.

წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო!

დიდი ხანია მას აქეთ, რაც ქართული წარმოდგენა იმართება ხოლმე ქუთაისში სცენის მოყვარეთა თაოსნობით. პირველათ წარმოდგენიდამ აღებულს ფულს მისცემდენ დანიშნულებასა, რომელიმე კეთილის საქმისათვის, და იქავე იხარჯებოდა, შემდეგ კერძო წრეები იმართებოდა იმ აზრით, რომ წრეს ფულები შეეგროვებინა და როდესაც ჯამი ფულისა გაიზდებოდა, სცენა გაემართათ რიგიანი და თუ იმოდენი ფული ოდესმე შეიკრიბებოდა, რომ თიატრის სახლის აშენება შესაძლო იქნებოდა, რასაკვირველია, ეს ყველა მოთამაშეთათვის დიდ სურვილს შეადგენდა.

ამ ნაირათ შეკრებული ფული რამო-

დენიმე კაცის ხელში დარჩა; ბოლოს წასრულს დეკემბრის თვეში წრემ გადასწყვიტა ყველა ფული მინდობოდა უფ. Ალექსი ჯიჯინაძეს, იმ პირობით, რომ იმას ეს ფული გაესესხებია, ბანკში, თუ კერძო პირებზედ, მისის პასუხის გების ქვეშ და როცა ფული შემრავლდებოდა წრის მოთხოვნილებისათანავე წარმოედგინა სარგებლიანათ. უფ. ჯიჯინაძეს ჩემის თაოსნობით მოგროვილი თეატრის ფული ჩავაბარე მე თვითონ ას-ოცი მანეთი (120) ოცდა ათს მარტს 1878 წელს. ჯიჯინაძისაგან მოცემული კვიტანცია ეხლაც მაქვს ამ ფულების მიღების თაობაზედ; მასთან წრემ სთხოვა იმ პირთ, რომელთაც ქონდათ სცენის ფული, რომ ფული იმათაც ჯიჯინაძისათვის ჩაებარებინათ.

ეს გახლდათ საფუძველი იმისა, რომ საწყალს Ივანე Აბაშიძეს კინაღამ ტყავი გავაძვრეთ. ეს გახლდათ მიზეზი, რომ კ—ცს ბათუმში მისწერა წრემ, რომ, თუ დანიშნულს ვადაზედ არ წარმოუდგენდა ფულს, ნაჩალნიკთან უქადიდა მას წრე საჩივარს. ორმოცჯელ ნასაყვედურებმა გაზეთში Ივანე Აბაშიძემ და შერისხულმა კ—ცმა ფული წარმოადგინეს.

Იმის შემდეგ, თუმცა მე არ ვყოფილვარ ქუთაისში, რამდენიმე წარმოდგენა ყოფილა; მაშა სადამე ფულიც ეხლა მეტი უნდა იყოს. სცენის გამშვენიერებას უნდა მოველოდეთ.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ დღეს მე სულ ახალი, ბევრი ჩვენი წევრთა განისაგან უცნობელი საქმე მომხდარა: გამოჩენილა ახალი წრე, რომელსაც გადაუწყვეტია ძველი წრის წევრების გაუქმება! პირველი საქმე ამ წრეს ის ჩაუდენია, რომ ფულები მოუთხოვნია Ალექსი ჯიჯინაძისაგან და რამოდენიმე სხვა პირებისათვისაც. ამ ფულების შესაკრებათ დაუნიშნავსთ ხლდომა 7-ს აგვისტოს თვეს ე. კ—შვილის სახლში. როგორც გვითხრა ერთმა სარწმუნო კაცმა, ამ დანიშნულს დღეს მარტო ჯიჯინაძე გამოცხადებულა, სხვა წრის მოვალენი, როგორც ა. ბამრეკელოვი და სხვანი, არ მობძანებულან. სხდომა, რომელიც უფ. ჯიჯინაძისა და სახლის მეპატრონისაგან შესდგებოდა, დაბოლოვებულა მით, რომ ჯიჯინაძისათვის ფული ჩამოურთმევიათ, რომელიც მას მივანდვეთ ჩვენ ძველმა წრემ, და რომელზედაც გამორთმეული ქონდა უფ. ჯიჯინაძეს მიბარებითი ბარათი.

მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს, როგორც ერთი წევრი ძველის წრისა და იმისთანა პირი, რომელსაც გულითა და სულით ლონისამებრ მიშრომია ქუთაისის სცენის გაწყობისათვის, ეკითხო ახალ წრეს: 1, რა უფლება ქონდა იმას, რომ ჩვენდა-შეუტყობლად გარდასწყვიტა ფულის ჩამორთმევა უფ. ჯიჯინაძისათვის? 2, თუ ჯიჯინაძს ჩამორთვეს ფული, რატომ სხვებსაც არ ჩამოართვეს? 3, ვის მიაბარეს ფული? 4, რამდენათ უფრო საიმედო პირია ახალი ფულის შემნახველი ძველზედ? 5, ისევ ძველ მიზნისათვის იხარჯება ეს ფული, თუ ახალი დანიშნულება მიეცა?

საზოგადოთ მე ვითხოვ ახალს წრეს გაზეთში გამოაცხადოს, როგორც პასუხი ამ კითხვებზედ, აგრეთვე ყოველივე ანგარიში იმ ფულისა, რომლის შეკრებაზედ ჩვენ სხვაზედ ნაკლებს მონაწილეობას არ ვიღებდით.

Ევგენია ჩხეიძისა.

ქუთაისი 5 ენკენისთვეს.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

პარიჟის გაზეთები გვაცნობებენ, რომ მეორედ კენჭის-ყრის დროს ბორდოში ამოურჩევიათ დეპუტატად რესპუბლიკელების კანდიდატი ემარ, რომელსაც 4,698 თეთრი კენჭი ამოსვლია; იმის მოწინააღმდეგეს ბლანკის კი ამოსვლია სულ 4,440 კენჭი.

— ზოგიერთი კლერიკალური გაზეთები ამტკიცებდნენ, რომ დაბრუნდებიან თუ არა ახალი ქალედონიიდამ ნაპატიები პოლიტიკური დამნაშავეები (კომუნარები) იმ წამსვე არეულობას მოახდენენ და საფრანგეთის მშვიდობიან ცხოვრებას ააღელვებენო. ეს სასიამოვნო მოლოდინი იმათ არ შეუსრულდათ: ერთი ბელგიური გაზეთის კორრესპონდენტი იწერება, რომ მე დავესწარი იმ დროს, როდესაც ეს კომუნარები პირველად გამოვიდნენ საფრანგეთის ნიადაგზე—ვანდრში—და არავითარი უწესოება იმათ არ მოუხდენიათო, მხოლოთ გამოადგეს თუ არა ფეხი ხმელეთზე, სიხარულით დაიყვირეს: „ბაუმარჯოს რესპუბლიკას! ბაუმარჯოს საფრანგეთსა!“ ამგვარისავე მშვიდობიანობით შემოსულან ისინი პარიჟშიაც, სადაც იმათთვის დაურიგებიათ კერძო პირებისაგან მოგროვილი და მთავრობისაგან გადადებული ფული; ბევრმა იმათგანმა მოსვლისათანავე მუშაობა იშოვნეს და საქმეს მოჰკიდეს ხელიო.

ინგლისი და ავღანი

Ავღანის ემირი იაკუბ-ხანი ინგლისის ელჩს ქოვანიარს. ადრევე ურჩევდა თურმე, ნუ დასეირნობ ქაბულის ქუჩებზე ცხენითაო, თორემ ხალხი მტრულის თვალით გიყურებს და შეიძლება რამე უბედურება შეგემთხვესო. ქოვანიარმა უთხრა ემირს, რომ თუ მომკვლენ, ჩემ მაგიერ ინგლისს ჩემისთანა ბევრი ჰყავთ ინდოეთში და მეორე დღესავე ახალ ელჩს გამოგზავნიანო.

ამასთანავე ამბობენ, რომ ინგლისის საელჩოს სალდათებსა და Ავღანის ჯარებს შუა რამდენიმეჯერ ჩხუბი მოხდაო და დიდი უკმაყოფილება იყოვო. ბოლოს საქმე იქამდინ მივიდა, რომ 12 პოლკი Ავღანის ჯარისა აჯანყდნენ ერთად, ჩაამტვრიეს ინგლისის საელჩოს სახლის კარები და შეცვივდნენ ეზოში; მაგრამ ინგლისის სალდათები ისე მხნეთ და მარჯვედ დახვედრიან იქ, რომ ავღანელები იძულებულნი [illegible] ეკვნენ და დაბრუნებულიყვნენ. [illegible] ქვეშ აჯანყებულებს ცეცხლი წაუკიდებიათ ინგლისის საელჩოს სადგომისათვის, სხვა რო ვერა დაუკლიათ-რა. ქავანიარი, რამდენიმე აფიცერი ინგლისისა, ექიმი და 200-ოდინ დაიარაღებული სალდათი ხმალ-ამოღებული გამოვარდნილან კარებში; აქ დახვედრია იმათ ზემოხსენებული თორმეტი პოლკი Ავღანის ჯარისა და ხალხი და გაცხარებული ბრძოლის შემდეგ ყველა ორასი ინგლისელები მოუკლავთ იქვე. Ავღანელების მხრით, როგორც ამბობენ, ოთხასს კაცზე მეტი არის მოკლულიო.

როგორც ტელეგრამმამ გვაცნობა ამ საქმეს თვითონ Ავღანის ემირს Იაკუბ-ხანს აბრალებენ, რომელიც ამბობენ ჩუმ-ჩუმად მოქმედებდაო. აჯანყებულების დასამორჩილებელად დიდ-ძალი ინგლისის ჯარი მიდის ამ ჟამად ქაბულისაკენ. ამბობენ, ინგლისის განზრახვა არისო, რომ თვითონ ემირიც Იაკუბ-ხანიც გადააყენონ Ავღანის ტახტიდამ და მთელი Ავღანი ინდოეთს შეუერთონო.

განცხადებანი

თელავის უეზდის სოფ. ყვარელში

მიეცემა არენდით

მამული: ვენახები, სახნავ-სათესი ადგილები, ტყე, სახლი თავის მარნით, წისქვილით და სხვა ყველაფრით მოწყობილი.

დაწვრილებით **პიროგბეის** შეტყობა შეიძლება თფილისში, ქამენდანტის ქუჩაზე, არშაკუნის სახლების (ქრუჟკის) გვერდით, ეზოში, ივთანდილოვის სახლებში, № 36.

(5—1)

ბამოვიდა და ისყიდება „ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში“ უ.

Გ. თუმანიშვილისა.

ფასი სამი შაური

(3—2)

ქუთაისში, მიხაილოიეს ქუჩაზე, ხიჩინოვის სახლებში, ივანე ყურაფოვის მაღაზიაში იყიდება ნამდვილი, თეთრი წმინდა (თაფლის) სანთელი

ფასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იაფია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი იყიდება აგრეთვე თფილისშიაც, სიონის ულიცაზედ, ოსნოვის ქარვასლაში.

(10—3)

საუმაწვილო ბაღი
და
ელემენტარული შკოლა.

სოლოლაკზედ, ვილიამინოვის ქუჩაზედ, თ. ამატუნის სახლებში

მიღება და ეკზამენები მოსწავლე ქალ-ვაჟთა დაიწყება 20 აგვისტოს; სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს 1879 წ.

საუმაწვილო ბაღში მიიღებიან ბავშვები ორივე სქესისა, რომელნიც წლოვანებით 4-დამ 7 წლისანი იქნებიან, შკოლაში კი—7 წლიდამ 14 წლამდი.

ამ შკოლაში კურსის შესრულების შემდეგ შეუძლიანთ შევიდნენ ყველა სასწავლებლების 1, და 2 კლასებში!

Გ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ეკლესიის შენობაში, № 1 და 2 იყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

თვალ-საჩინო სწავლა ახლად შესრულის უმწეოებისათვის სახალხო შკოლებში. შედგენილი მიხ. ჭიჭინაძისაგან—ფასი 40 კაპ.

ბანჯგვლიანი ფუტკარი—თხ. ევენარიუსისა ნათარ. ალ. აბაზიძესაგან—ფასი 15 კაპ.

ბლახის ნამბობი მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ბამ. არ. საფაროვისაგან ფასი 25 კ.

რამდენიმე სურათი უაჩალის ცხოვრებიდამ, პოემა ილია ჭავჭავაძისა გადმობეჭ. ჟურნ. „ივერიდგან“ ფასი 10 კაპ.

Ночи тутъ гинда ессарис, ვოდევილი ვასილ აბაშიძისა ფასი 10 კ. და სხვა-და სხვა ქართული წიგნები.

Въ Тифлисѣ. Книжный магазинъ Григорія Чарквіани въ зданіи Кашветской церкви, № 1 и 2.

(3—2)

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო აცხადებს, რომ ამა ბანკის წესდების მე-17 § ძალით, მიმდინარე წლით ოც-და-სამს ოკტომბერს (მწიფობისთვეს) ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომზე, ი. ხეჩინოვის სახლებში, საზოგადო ვაჭროობით გაიყიდება უძრავი მამული უ.უ. წერეთელთა დაგირავებული ხსენებულ ბანკში, ამ მამულზე მიცემულის სესხისამებრ სარგებლის შემოუტანლობის გამო. მამული განთავისუფლდება ვაჭროობისაგან მხოლოდ მაშინ, თუ მემამულეთა, იმავე წესდების მე-19 § ძალით, სრულიად შემოიტანეს სარგებელი და განცხადებაების ხარჯი.

ბეარ-სახელნი მოვალეთა.	რაგვარი მამულია და ან რამდენი მიწა?	სად მდებარეობს მამული.	მამულზე ირიცხება:				
			თავნი ფულს	სარგებ. ჯარიმით.		სულ.	
			მან.	მან.	კა.	მან.	კა.
წერეთელნი, ბიორგი და დიმიტრი ევთიმეს ძენი, ვასილ სიმონის ძე და შტაბს-კაპიტანი იოსებ ოქროპირის ძე.	სახნავ-სათიბი მიწები, სახელოდ „სარბეევი“, ოცი (20) დესიატინი და 1981 ოთხკუთხედი საჟენი.	ქუთაისის უეზდში, სახელდობ წინაველში, რკინის გზის რიონის სტანციასთან.	2000	149	80	2141	80

3—2

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
უვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
უვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ		
ქავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურგს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ ღდე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქუთეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისს და ფოთისაკენ—ყოველ ღდე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ
და სამზღვარ გარეთ:	
ღია წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი 11 სექტემბ.	—	—
ფქვ. ოეთ. ბანჯისა ფუთ.	2	50
ფქვ. წითელი . .	1	80
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	40
—ამერიკისა, ფუთ .	9	20
ბაენტილი ბამბა ფუთი.	10	60
მატყლი თუშური ფუთი.	8	40
—თ.რაქმისა ფუთი .	4	20
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	70
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	80
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროტ. ფუთ .	7	35
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რგვალი ბრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	15	8
თამბაქო საშუალო ფთ.	6	60

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მეიდ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ ღდე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ჟურავლევი—ვენერიულის, და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ., ასტუა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ჟურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვა-ცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; ჟურავლევი.—ვენერ. და კანის; რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Сентября 1879 г. Типографія Меликова. ბეჭდ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.